სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

II კვარტლის ანგარიში

2026

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სარჩევი

შესავალი 3

ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 5

ადამიანური რესურსები 5

ინფრასტრუქტურული პროექტები 6

სატრანსპორტო საშუალებები 6

შიდა კონტროლი და მონიტორინგი 6

კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები 6

შრომის უსაფრთხოება 7

დარგობრივი მიმართულებები 7

ტყის აღრიცხვა 7

ტყის მოვლა-აღდგენა 9

ტყითსარგებლობა 11

საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები 13

საზოგადოებასთან ურთიერთობა 15

სამართლებრივი უზრუნველყოფა 15

ბიუჯეტის შესრულება 19

შესავალი

ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყნის ტყის მართვის ძირითადი ორგანოა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას ტყის მდგრადი მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს.

სააგენტო მართავს 1,738,282 ჰა სახელმწიფო ტყეს და რეგიონული სატყეო სამსახურების მეშვეობით, ქვეყნის 9 რეგიონში ოპერირებს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

ეროვნული სატყეო სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებებია: ტყის აღდგენა, ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება, მერქანზე ხელმისაწვდომობის კანონიერი ზრდა და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა, რომელიც ასევე მოიცავს კერძო სექტორის ხელშეწყობას, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა და ეკოტურიზმის განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობების ზრდას.

დიაგრამა 1: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურა



ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა

ადამიანური რესურსები

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, **სააგენტოში დასაქმებულია 1189 ადამიანი.**

- ცენტრალური აპარატი - 185 თანამშრომელი
  - ✓ შტატით განსაზღვრულ თანამდებობა - 84
  - ✓ ხელშეკრულება - 101
- რეგიონულ სატყეო სამსახურები - 1004 თანამშრომელი
  - ✓ შტატით განსაზღვრულ თანამდებობა - 373
  - ✓ ხელშეკრულება - 631

საანგარიშო პერიოდში:

- 31 ვაკანტურ თანამდებობაზე (შტატი) კონკურსის წესით დაინიშნა 22 კანდიდატი.
- 794 თანამშრომელს უფინანსდება ჯანმრთელობის დაზღვევა.
- პერიოდულად ხდებოდა eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა/განახლება.

თანამშრომელთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფებითა და გენდერის მიხედვით



ინფრასტრუქტურული პროექტები

სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში 2026 წლის იანვარი-მარტის საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით მიმდინარეობდა 2 ადმინისტრაციული შენობის (მცხეთის სატყეო სამსახურის დუშეთის სატყეო უბნის სათაო ოფისის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადმელის საქმიან ეზოში საოფისე შენობის) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. დასრულდა გურიის სატყეო სამსახურის ცენტრალური შენობის მიმდებარედ საწყობის შენობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს ხაშურის საქმიან ეზოში განთავსებული ამორტიზირებული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები. მომზადდა პროექტი ცენტრალური ოფისის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

სატრანსპორტო საშუალებები

გაფორმდა ხელშეკრულება 1 ერთეული ბაქნიანი ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით.

შიდა კონტროლი და მონიტორინგი

კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები

2026 წლის პირველ და მეორე კვარტლებში, სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსული დოკუმენტაციის, განხორციელებული საველე და დოკუმენტური შემოწმებების შედეგებზე, მოამზადეს 18 დასკვნა, რომელთა საფუძველზეც, სააგენტოს 36 თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა, სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ: ,,შენიშვნა“ დაეკისრა 4 თანამშრომელს, „გაფრთხილება“ მიეცა 9-ს, „საყვედური“ გამოეცხადა 17-ს, ხოლო 8 მათგანი „გათავისუფლდა სამსახურიდან“. ამასთან, 6 შემთხვევაში საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. ასევე, უწყებას დაქვემდებარებული რეგიონული სამსახურებიდან, შემდგომი რეგირების მიზნით გადმოიგზავნა, გადაცდომების შესახებ 30

კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილი იქნა და ვინაიდან სახეზე იყო მხოლოდ მექანიკური სახის ხარვეზები, მათ მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. აღნიშნულზე მომზადდა მოხსენებითი ბარათები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

2026 წლის 6 თვის განმავლობაში, სულ საველე შემოწმებებისას კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, სახელმწიფო ტყეში გამოვლინდა და აღირიცხა უკანონოდ მოჭრილი, ჯამში 733 ძირი ხე-მცენარე, საერთო მოცულობით 418,54 მ 3 . საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 ივლისის N368 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დებულების თანახმად, ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 153 746,68 ლარი. გამოვლენილი ხე-მცენარეების უკანონო ჭრის შესახებ მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში.

შრომის უსაფრთხოება

სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცდა 11 ადმინისტრაციული შენობის, 8 საქმიანი ეზოს და სააგენტოს მიერ საკუთარი ძალებით განხორციელებული სანიტარული ჭრების 2 ტყეკაფის რისკის შეფასების დოკუმენტი, რომელთა გადახედვა/განახლება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, სააგენტოს ცალკეულ თანამშრომლებს, ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ ზოგადი ინსტრუქტაჟი.

დარგობრივი მიმართულებები

ტყის აღრიცხვა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს შეთანხმების პროცედურები (ჩასარიცხი და ამოსარიცხი ტერიტორიების Shp-ფაილების დამუშავება) ცაგერის სატყეო უბნის - 50 827 ჰა ფართობზე, ოზურგეთის სატყეო უბნის - 19 300 ჰა ფართობზე;
- გაფორმდა ხელშეკრულებები გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბნის (20 433 ჰა) და ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის (71 532 ჰა) ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის.
- გაფორმდა ხელშეკრულებები შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ, ხაშურის, კასპის, ქარელის და გორის სატყეო უბნებისთვის 101 062 ჰა ფართობზე ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის.
- გაფორმდა ხელშეკრულებები სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ, ბორჯომისა და ბაკურიანი სატყეო უბნებისთვის 45 896 ჰა ფართობზე ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის.
- დასრულდა ტყის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა, რომელიც შემუშავებულია ყვარლის სატყეო უბნისთვის - 45 044 ჰა ფართობზე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები.

ასევე, შემუშავებულია ტყის მართვის გეგმის პროექტები:

- საგარეჯოს სატყეო უბნისთვის - 37 682 ჰა ფართობი;
- გურჯაანის სატყეო უბნისთვის - 28 848 ჰა ფართობი;
- თელავის სატყეო უბნისთვის - 52 331 ჰა ფართობი;
- ონის სატყეო უბნისთვის - 57 417 ჰა ფართობი;
- ცაგერის სატყეო უბნისთვის - 50 827 ჰა ფართობი.
- ოზურგეთის სატყეო უბნისთვის - 19300 ჰა ფართობი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვადასხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ტყეთმოწყობისას დადგენილი განახლებული სახელმწიფო ტყის საზღვრების შეთანხმების პროცედურები, შემდგომში საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით.

მიმდინარეობს 54202 ჰა ფართობზე შემუშავებული წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის პროექტის გადამუშავება.
განახლდა ტყის ინვენტარიზაციის გრძელვადიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც სრულად, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორია განახლებული მართვის გეგმებით დაიფარება 2028 წელს.

ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება წლების მიხედვით



ტყის მოვლა-აღდგენა

ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

2026 წელს ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელების მიზნით, **2 667.5** ჰა ფართობისთვის მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების მომზადება (კამერალური სამუშაოები), მათ შორის
რეგიონების მიხედვით:

- სამცხე-ჯავახეთი - 1 511.8 ჰა (4 პროექტი);

- იმერეთი 93.6 ჰა (2 პროექტი);
- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 668 ჰა (1 პროექტი);
- მცხეთა-მთიანეთი 31.1 ჰა (1 პროექტი);
- კახეთი - 363 ჰა (1 პროექტი).

2026 წლის 6 თვის პერიოდში **3638.7** ჰა-დან, 14 ხელშეკრულების ფარგლებში (ჯამში 36 პროექტზე.), **1494** ჰა ფართობზე მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები(გურია - 25,7 ჰა, ქვემო ქართლი 77 ჰა, კახეთი 1391.3 ჰა), მათ შორის მოვლის ღონისძიებები - 102.7 ჰა (გურია - 25.7 ჰა, ქვემო ქართლი - 77 ჰა).

ტყის დაცვის ღონისძიებების მიმართულებით: გაფორმდა ხელშეკრულება მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგის მიზნით მწერსაჭერებში განსათავსებელი 3900 ცალი ფერომონის შესყიდვაზე. შეძენილი ფერომონები გადაიგზავნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და აქედან 1300 ცალი უკვე განთავსებულია ამავე რაოდენობის მწერსაჭერში. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დაიხვეწა ტყეში ქცევის წესების დაცვისთვის შექმნილი QR კოდიანი ბანერი - ქართულ ვერსიას დაემატა ინგლისურ ენოვანი ფორმატიც, აღნიშნულის საფუძველზე მიმდინარე წელს დაიბეჭდება განახლებული 355 ც-მდე ახალი ბანერი და ხანძარსაშიშ სეზონამდე გადაიგზავნება საქართველოს ყველა რეგიონში და განთავსდება შესაბამის/წინასწარ შერჩეულ ფართობებზე.

სანიტარული ჭრის ფარგლებში დამზადდა 2723,38 კბ.მ მერქნული რესურსი. აქედან: სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური 2497,78 კბმ, შიდა ქართლის სატყეო სამსახური 94,44 კბმ, იმერეთის სატყეო სამსახური 70,00 კბ.მ. და მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური 61,16 კბ.მ.



ტყითსარგებლობა

მერქნული რესურსით სარგებლობა

2026 წლის 6 თვის საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრებით დამზადებულია 684,8 კბმ მერქნული რესურსი;

მათ შორის რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	**სულ, კბმ**	**სამეურნეო ჭრა**	**მოვლითი ჭრა**
გურია	0	0	0
იმერეთი	125.35	125.35	0
კახეთი	96.31	96.31	0
მცხეთა-მთიანეთი	4.49	4.49	0
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	458.65	458.65	0
სამეგრელო ზემო სვანეთი	0	0	0
სამცხე-ჯავახეთი	0	0	0
შიდა ქართლი	0	0	0
ქვემო ქართლი	0	0	0
სულ	**684.8**	**684.8**	0

- საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით, დამზადებული და მიწოდებულია **1 386 კბმ** მერქნული რესურსი;
- სათბობი შეშით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია **18 248.88 კბმ** მერქნული რესურსი.



ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა

- ტყით სპეციალურ სარგებლობასთან დაკავშირებით (იჯარა) სასოფლო-სამეურნეო (ფუტკრის დროებითი სადგომის მოწყობა) მიზნით გაიცა სააგენტოს უფროსის 9 ერთეული ბრძანება, სულ: 100 893 კვ.მ. წლიური საფასური: 2029 ₾.
- ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით გაიცა სააგენტოს უფროსის 3 ერთეული ბრძანება. ნებართვის გაცემისთვის გადახდილი თანხა: 600 ლ.
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით გაიცა სააგენტოს უფროსის 1 ერთეული ბრძანება, სულ 46293020 კვ.მ ფართობზე.

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის და სპეციალური ჭრის უფლება გაიცა 2,309,085 კვ.მ. მიწის ფართობზე, სულ 92 ბრძანება . წარმოდგენილი ბრძანებების საფუძველზე, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის და სპეციალური ჭრებისთვის გადასახდელი თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 6,082,283 ლარს.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით 2026 წლის საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებები:

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით 2026 წლის საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებები:

შპს ,,მაგთიკომი'' - გაფორმდა 2 (ორი) ხელშეკრულება 2 ც. ანძაზე, სულ 800 კვ.მ მიწის ფართობზე, ხოლო წლიური საფასური შეადგენს16800 ლარს.

შპს ,,სელფი მობაილი'' - გაფორმდა 1 (ერთი) ხელშეკრულება, 5 ც. ანძაზე, 588 კვ.მ მიწის ფართობზე, ხოლო წლიური საფასური შეადგენს 42000 ლარს.

სულ: ანძა: 7

ფართობი: 1388 კვ.მ

წლიური საფასური: 58800

სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება

საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები

მიმდინარე პროექტები:

„ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში ტყის დეგრადაციის შედეგად სათბური აირების გამოყოფის შემცირებისთვის“

დონორი: გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)

გრანტის მოცულობა: **14,573,206 ევრო**

განხორციელების პერიოდი: **2021 -2028 წწ.**

2026 წლის II კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ტყის აღდგენა-გაშენების მიმართულება 1378.2 ჰექტარზე.

გურია:

ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს (25.7 ჰა) და ჩოხატაურის სატყეო უბნის შუა სურების სატყეოს (677 ჰა) ფართობებზე მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების ფარგლებში დაგეგმილი დაცვისა და მონიტორინგის ღონისძიებები.

კახეთი:

ყვარლის სატყეო უბნის გრემის სატყეოს (87,5 ჰა) და ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოს (10 ჰა) ფართობებზე მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების ფარგლებში დაგეგმილი დაცვისა და მონიტორინგის ღონისძიებები.

თელავის სატყეო უბნის თელავის სატყეოს (578 ჰა) ფართობზე მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეღობვის სამუშაოები.

ტყის აღრიცხვის მიმართულება:

1. ყვარლის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა გადამუშავდა და გადაიგზავნა სამინისტროში დასამტკიცებლად;
2. დასრულდა თიანეთის სატყეო უბანზე განხორციელებული სატაქსაციო აღწერების საველე გადამოწმება 16400 ჰა ფართობზე;
3. ოზურგეთის სატყეო უბნის დაზუსტებული ფართობები გადაგზავნილია სამინისტროში, ამორიცხვა/ჩარიცხვის პროცედურების დასრულების მიზნით.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია **სატყეო სექტორში საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობისა და უკუკავშირის მექანიზმების** გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ეროვნული სატყეო სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლები.

„საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“

დონორი: ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო (EACEA) ევროკომისიის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში

გრანტის მოცულობა: **18,511 ევრო**

განხორციელების პერიოდი: **2023 -2027 წწ.**

პროექტის მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემაში სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა, დუალური განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში, ეროვნული სატყეო სააგენტო ხელს შეუწყობს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს ორმაგი განათლების დასანერგად საპილოტე ღონისძიებების განხორციელებაში. პროექტის განხორციელების მიზნით შექმნილია კონსორციუმი და მომზადებულია დუალური განათლების ზოგადი მოდელი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროექტის მონაწილეებს შორის, რომელშიც უცხოური მხარეც მონაწილეობდა. მომზადდა ფინანსური და ნარატიული ანგარიში 2023-2025 წწ-ის საანგარიშო პერიოდისთვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი საინფორმაციო კამპანია:

მეტყევის პროფესიის პოპულარიზაცია, რომლის ფარგლებშიც დამზადდა:

- 8 ქარდი-ბლოგი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონული სატყეო სამსახურის მეტყევეების შესახებ;

- 2 ვიდეო-რგოლი და ერთი სიუჟეტი საინფორმაციო გამოშვებაში - ნახევარსაუკუნოვანი ისტორია პროფესიაში;
- 9 მოკლე ვიდეო-რგოლი - რას ნიშნავს იყო მეტყევე.

ნუ მოჭრი ბზას!

- შეიქმნა და სოციალური ქსელებით გავრცელდა ვიდეო-რგოლი მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერებში გავიდა სიუჟეტები „კამპანიას „ნუ მოჭრი ბზას“ ყოველწლიურად მედიის წარმომადგენლები უერთდებიან“;
- 9 საინფორმაციო ქარდი ბზის დაცვის შესახებ;
- ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა 5 სხვადასხვა ტელევიზიის გადაცემებში ბზის შენარჩუნების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

სატყეო რეფორმასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში:
დამზადდა 17 ქარდი; 10 მოკლე ვიდეო-რგოლი; სხვადასხვა მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა 8 სიახლე; სატყეო რეფორმის არსის და მნიშვნელობის თემა ასევე გაშუქდა 2 გადაცემაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი „ახალი დღე“ და ტვ მაესტრო "ბიზნეს ინსაიდერი საქართველო") და 1 სიუჟეტში - „ჭალის ტყის აღდგენა“ (ტვ იმედი „ქრონიკა).

„დაიცავი ტყეში ქცევის წესები“ - ხანძრების პრევენციის კამპანია
ტყის ხანძრების პრევენციის მნიშვნელობაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიის 5 გადაცემაში, ტელეკომპანია „იმედის დილაში“ გავიდა სიუჟეტი, მომზადდა 1 მოკლე ვიდეო-რგოლი, ხოლო სიახლე „საინფორმაციო ბანერი QR კოდით სახელმწიფო ტყეში 350 ლოკაციაზე განთავსდება“ გაშუქდა სხვადასხვა მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში და საინფორმაციო სააგენტოებში.

- მომზადდა სოციალური ხასიათის 12 მოკლე ვიდეო-რგოლი, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მონაწილეობით - რა არის ჩემთვის ტყე (ლევან ფანცხავა, ნინო ვარდოსანიძე, ავთო გვასალია, ილია სულამანიძე, გენო პეტრიაშვილი და სხვა).
- მომზადდა და განთავსდა ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობის ამსახველი, ჯამში 89 ქარდი (კვირის მნიშვნელოვანი სიახლეები, გამოვლენილი სამართალდარღვევათა სტატისტიკა, საქართველოს ტყის ნაირსახეობა და ა.შ.).
- 2026 წლის 6 თვის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა 31 სიახლე, მათ შორის: სატყეო რეფორმა, ტყის მოვლა აღდგენა, ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები, ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტების გამოვლენა, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილების მოწყობა, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, სხვადასხვა კამპანია.
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული აქტუალური თემები გაშუქდა სხვადასხვა სატელევიზიო არხის 15 გადაცემაში.
- სოციალური ქსელი Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობა 2026 წლის პირველი კვარტლის ბოლოს 20,000-მდე გაიზარდა.

სამართლებრივი უზრუნველყოფა

- მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 ივლისის N383 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (მიღებულია);

მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო პაკეტი რომელიც მოიცავს:

- გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტს;

- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტს.

საქართველოს ტყის კოდექსში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა (ივნისი):

- „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესები და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

- მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა (06-07-2026წ) „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს დადგენილების პროექტი. **(ცვლილების მიზანია სახელწიფო ტყის დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა და ამასთან, სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა სიცოცხლისა და**

ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა და, ასევე, ცვლილება შესაბამისობაში მოდის საქართველოს ტყის კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან).

ბიუჯეტის შესრულება

ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2026 წლისათვის, ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 61,650.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 21,650.00 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 40,000.00 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები განსაზღვრული იქნა 72,233.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 21,650.00 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 50,583.00 ათ. ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 23 თებერვლის N392 განკარგულებით დაზუსტდა აღნიშნული მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში- 99,233.00 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 21,650.00 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 77,583.00 ათ. ლარი.

გარდა აღნიშნულისა, სააგენტო წლის განმავლობაში, მიზნობრივი გრანტების დაფინანსებით გეგმავს 3,102.51 ათ. ლარის გახარჯვას.

ცხრილი 1.

2026 წლის 6 თვის გეგმა/ფაქტი და შესრულების პროცენტული მაჩვენებელი

დასახელება	2026 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა				2026 წლის 6 თვის ფაქტი				2026 წლის 6 თვის შესრულება			
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	**41,527.2**			**41,527.2**	**41,527.2**			**41,527.2**				
შემოსულობები	**33,284.58**	**13,850.00**	**1,434.58**	**18,000.00**	**24,935.51**	**13,773.11**	**153.18**	**11,009.22**	**75%**	**99%**	**11%**	**61%**
შემოსავლები	**33,284.58**	**13,850.00**	**1,434.58**	**18,000.00**	**24,935.51**	**13,773.11**	**153.18**	**11,009.22**	**75%**	**99%**	**11%**	**61%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	13,850.00	13,850.00	-	-	13,773.11	13,773.11	-	-	99%	99%		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	18,000.00	-	-	18,000.00	11,009.22	-	-	11,009.22	61%			61%
გრანტები	1,434.58	-	1,434.58	-	153.18	-	153.18	-	11%		11%	
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა 31 09	**23,533.58**	**13,850.00**	**1,434.58**	**8,249.00**	**22,050.07**	**13,773.11**	**153.18**	**8,123.78**	**94%**	**99%**	**11%**	**98%**
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 31 09 01	**12,834.00**	**9,781.00**	**15.00**	**3,038.00**	**12,734.83**	**9,734.20**	**-**	**3,000.63**	**99%**	**100%**		**99%**
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 31 09 02	**563.58**	**188.00**	**44.58**	**331.00**	**516.74**	**187.07**	**-**	**329.67**	**92%**	**100%**		**100%**
ტყითსარგებლობის ღონისძიებები 31 09 03	**10,055.00**	**3,881.00**	**1,375.00**	**4,799.00**	**8,718.93**	**3,851.84**	**153.18**	**4,713.91**	**87%**	**99%**	**11%**	**98%**
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 31 09 04	**81.00**	**-**	**-**	**81.00**	**79.57**	**-**	**-**	**79.57**	**98%**			**98%**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**51,278.20**			**51,278.20**	**44,412.64**			**44,412.64**				

კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2026 წლის 6 თვეში შეადგინა **11 009.2 ათ. ლარი:**

გრაფიკი N1

2026 წლის 6 თვეში საკუთარი შემოსულობების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები სახეების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

საანგარიშო პერიოდში, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები და დამტკიცდა მიზნობრივი გრანტების ხარჯთაღრიცხვები:

- ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის" ხელშეკრულების ფარგლებში - 62,6 ათ. ლარზე; (ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის);
- დამტკიცდა 2026 წლის ხარჯთაღრიცხვა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 3,000.0 ათ. ლარზე, (8 სამიზნე სატყეო უბანი)“ მიზნობრივი გრანტი N2471, 10.03.2022, (ფულადი გრანტის მთლიანი მოცულობა- 14,873,206.00 ევრო).
- „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“ - ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა (ევროკომისია) და 16 ბენეფიციარს, მათ შორის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის ხელმოწერილ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - 39,9 ათ. ლარზე.

სულ ჯამში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2026 წლის 6 თვის გასაწევმა ხარჯების გეგმამ შეადგინა 1 434.58 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 153.18 ათ. ლარი.

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია:

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N392 23.02.26) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2026 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N217 29.01.26) „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;
- ✓ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 25 მარტის N2-240 ბრძანების საფუძველზე მომზადდა სააგენტოს 2025 წლის ანგარიში და 2026 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა ფინანსური დეპარტამენტის 2025 წლის ანგარიში და 2026 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.
- ✓ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების თანახმად მომზადდა 2025 წლის ანგარიში და 2026 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით).
- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი) თანახმად კვარტალური ანგარიშგება - N14 და N15.

- ✓ სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურეობის ნაწილში მომზადდა და გაფორმდა 18 ხელშეკრულება *(მერქნული რესურსის აღრიცხვისა და საკადასტრო ნახაზების მომზადების).*

ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია

გამოცხადდა 170 ელექტრონული აუქციონი. სტატუსით „გაყიდული“ მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 12 827.7 კუბური მეტრი. აუქციონის გასაყიდმა თანხამ შეადგინა 3 501 514,83 ლარი;

სახელმწიფო ტყის მიწის ნაკვეთზე საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით გამოცხადდა 6 (სამი) ელექტრონული აუქციონი. აქედან შედგა 4 (ოთხი) ელექტრონული აუქციონი 1588 კვმ-ზე, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 67’200 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, 2026 წლის 6 თვეში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით - 3 402 646,63 ლარზე, საკუთარი სახსრებით - 11,213,450.9 ლარზე, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში - 24 838,71 ლარზე (დღგ-ს გარეშე).